16 ნოემბერი 1930 წ. ფასი 10 კ. N 43

Библиотека-Му
Академия наук
12 584

ᲮᲝᲠ- როგორ ეწყობიან გაწმენდილები სხვა დაწესებულებებში ᲚᲐᲚ

„განიარაღება“

ოგივატელი ოპორტუნისტული გახრით

რატომ არ ვაჯერათ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს უნდათ განიარაღება? რამდენი ხანია ისინი შეუდგენ სამზადისს ამ „გულწრფელი“ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად! რა ვუყოთ მერე, თუ ჯერ-ჯერობით განიარაღების მაგიერ თავიდან კბილებამდე იარაღდებიან. ეს ასე ვსთქვათ ძველის ძველი ბრძნული გამოთქმის გასამართლებლად !ეირდებათ. „თუ გსურს მშვიდობიანობა, ემზადე ომისათვის“, — ასე გაიძახის თავისუფალი სახელმწიფო.

რა ვუყოთ, თუ მათი მტაცებლური ბუნება ვერ აძლევს გასაქანს ამ საკაცობრიო იდეალს! მათ უნდათ განიარაღება, მაგრამ იმდენად, რამდენადაც სხვა განიარაღდება.

რამდენჯერ შეკრებილან მათი წარმომადგენლები იმპერიალისტური ომის შემდეგ, რამდენჯერ უთქვამთ, რომ ომი არ არის კარგი საქმეო!

კარგი, ვსთქვათ, რომ თქვენ მათი ცარიელი სიტყვების არაფერი გეჯერათ. თქვენ გინდათ იცოდეთ, რა პრაქტიკული ნაბჯ გადასდგეს მათ განარაღების სასარგებლოდ.

კომისიის გამოყოფა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებლად განაცოტა საქმეა! მართალია, ამ კომისიის გამოყოფის შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნების კოლონიებში ზარბაზნების გრიალი და ტყვიისმფრქეველების ბაკანი არ შეწყვეტილა, მაგრამ რა ვუყოთ მერე! მათ უნდათ განიარაღება იმდენად, რამდენად... სხვები დაჰყრიან იარაღს.

ჰო, იმას მოგახსენებით, განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია უკვე მრავალი წელიწადია არსებობს. მართალია, ამ კომისიამ ვერ მოამზადა განიარაღების კონფერენცია. მაგრამ რა ვუყოთ მერე. არის ამის მიზეზი, უმიზეზოთ ხომ არ მომხდარა ეს.

თვითეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს უნდა განიარაღება იმდენად, რამდენად მისი მეზობელი განიარაღდება. რა ვუყოთ მერე! რატომ უნდა განიარაღდეს, მაგალითად, საფრანგეთი და თავზე წამოისკუპოს გერმანია, ან რატომ უნდა განიარაღდეს გერმანია და თავზე წამოისკუპოს საფრანგეთი, ან რატომ განიარაღდეს ინგლისი! ან რატომ განიარაღდეს იტალია, პოლონეთი და სხვ.?

სხვათა შორის დიდებული „არგუმენტი“ აქვთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს იმის გასამართლებლად, რომ დღემდე არ მოხდა განიარაღება. „ურმე თავი და თავი საქმე ყოფილა გარანტია, მიეცით მხოლოდ, რომელიმე სახელმწიფოს იმის გარანტია, რომ მეზობელი ხელს არ ახლებს მას

— ნეტავი, ვინ გამოაკრა ეს ჩვენი ლოზუნგი ქუჩაში!

და თუ მაშინ არ განიარაღდეს, უფლება გაქვთ უსაყვედუროთ.

თუ გინდათ ამაში დარწმუნდეთ, წაიკითხეთ ანგარიშები განიარაღების მოსამზადებელი კომისიის სხდომების, რომლებიც ჟენევაში იმართება, გარანტიაა მთავარი. ყველა ამაზე გაიძახის.

ამბ. ლიტვინოვმა თავის ერცელ სიტყვაში საკმაოდ ნათლად გააშუქა ის გარანტია, რომელიც საჭიროა კაპიტალისტურ ქვეყნების განსაიარაღებლად. ლიტვინოვს ეს ბევრჯერ განუმარტავს, მაგრამ კაპიტალისტებმა მაინც ვერ მიაგნეს გარანტიას, ვერ მიაგნებენ საყოველთაო გარანტიების გარანტიას.

ეს გარანტია შორს კი არ არის. მისი ნახვა შეიძლება და ეს მოხდება მაშინ, როცა წითელი ცეცხლი გადაივლის ევროპის თავზე და მსოფლიო რევოლიუციის დროშა გაიშლება ძლევამოსილად.

სეგეირ-ბენ-შეიხ.



ფიჩხაძე თუ ფიცხაძე

— გურული კაცი გახლავარ, გვარად — ფიჩხაძე...

მკითხველი გაოცებით იკითხავს: რა საჭიროა ბიოგრაფიაო?

მე ბიოგრაფიაზე არაფერს მოგახსენებთ, მხოლოთ, სოლომონ მეჯღლანუაშვილის არ იყვეს, ჩემი ბრალი სრულიად არ არის, თუ გვარი ფიჩხაძე მაქვს.

ჯერ იყო და ჩემი ამ ქვეყნად ამოძრავება ქოხის კუთხიდან კერამდის ფიჩხის მოჩოჩება-მოწვეთით დაიწყო. რამდენჯერ განმიცდია მარცხი ამ უბრალო პროცედურაზედაც კი: ან ფიჩხს ვერ დავძალავდი და იქით გადავიქცეოდი, ან ფიჩხი ჯერ მოედებოდა რაიმე მაგარ საგანს, შემდეგ უცბათ დასხლტებოდა იქიდან, მე თავს ვერ შევიკავებდი და აქეთ გადმოვპირქვავდებოდი. ვგორაოდი, ასე უბსკერო კვაწიასავით.

მაგრამ, აჰა, წამოვიზარდე. სკოლაში მიმაბარეს. დილიდან საღამომდი იქით-აქეთ სიარულს ვუნდებოდი. მაგრამ სკოლას მარტო სიარული კი არ ჰყოფნის, გაკვეთილებსაც უნდა სწავლა.

და აი, სხვა სანათი რომ არ იყო, საღამოობით, ჩემდა მხსნელად ისევ ფიჩხი იჩენდა თავს. შევაგროვებდი ფიჩხს, შევუკეთებდი ცეცხლს და მის სინათლეზე გავკიოდი ხმა-მაღლა: „სწავლა სინათლეა, ხოლო უსწავლელობა — სიბნელე“-თქვა...

გაზაფხულზე, უფრო გრძელი და ნათელი დღეები, რომ ჩამოდგებოდა და მეც მეგონა ფიჩხიდან განკითავისუფლე თავი-თქვა, დედაჩემი წაიკარწახებდა ხოლმე და გამომწივოდა სახლიდან: „აბა, შვილო, დატრიალდი და ცოტაოდენი ფიჩხი შემიგროვე საკახშმო ცეცხლის გასაჩაღებლადო“!..

და მეც ვიკუზებოდი, ჩვენი ეზოს ახლო მდებარე პატარა ჯაგნარში, სწრაფად ვიღებდი მიწიდან, ჩირგვბარდნალიდან თუ წაქცეულ ხეებიდან ხმელ ღერველებს, ვაგროვებდი მათგან ფიჩხის ხელეურებს, შემდეგ, ვკრავდი ზორბა კონებათ და მოვარბენინებდი სახლისკენ...

მაგრამ აი, სასოფლო ერთ კლასიანში, რომ სწავლა დავამთავრე, მეორე სოფლად განვწესდი ორკლასიანში.

ფიჩხის სინათლეზე მეცადინეობა იქაც სამკვდროთ წამყვა, ხოლო ამას ზედ დაერთო ისიც, რომ „ფინჩხაც“ (ძუნწი საზრდო გურულად), სხვისი მქონდა და ისიც სამადლოდ.

ალბათ, ყოველივე ამისი ბრალი უნდა იყვეს ის, რომ თითები ხელფეხზე დაფიჩხული მაქვს, არც სხვა ძვლებზე მეტყობა მაინცა და მაინც კუნთებისა თუ ქონის მარაგით დატვირთულობა და ამგვარად ჩემი გვარის „ფიჩხაძის“ სრულს კონტაქტში ყოფნა ჩემი აგებულებითაც მაქვს დადასტურებული, არა თუ მარტო აღზრდით.

მაგრამ აღზრდისა თუ აგებულების ჩამოყალიბების ხანამ განვლო, ცხოვრებამ ბევრი რამ კარგი და ღირსშესანიშნავი წარმოშვა.

ბოლოდ ერთი რამ ცუდი თვისება აქვს მას. ქართული ანდაზისა, არ იყვეს — „გლახამ აღაპი გამართა და თვითონვე შეჭამა“-ო; რასაც კი წარნოშობს ცხოვრება, ისევ თითონვე ხვევს მას ხელს და მიაქვს თან, ნთქავს თავის უძირო სტომაქში, რჩება რაღაც ნაკვალევი, რაღაც მკრთალი ანარეკლი, გაფიჩხული და გაცრეცილი.

კიდევ ფიჩხი! არ იქნა უფიჩხოდ არც ამის დახასიათება.

მოდის ზამთარი და უშეშოდ ვარ.

ბევრ ვისმე მივმართე, მაგრამ არავინ იღო ყურად ჩემი თხოვნა: „ერკოოპმა“ ისეთი ოჩერედი დაგწესა შეშის მიღებაზე, რომ მის კუდს, სადაც მე ვარ მოქცეული, მგონი, ივლისშიც აღარ ხვდეს თავისი ჯერი, ხოლო კერძო შეშის მიღება კი, შესაძლოა, მეორე ზამთრამდიც გასჭირდეს.

მეორე ზამთარში კი, ალბათ, მეორე ოჩერედი იქნება დაწესებული, და მეც გავისეირნებ ამ ახალს ოჩერედში ახალი ზამთრისაკენ, როგორც კუდიანი ვარსკვლავის კუდში მოქცეული წერტილი.

ღმერთმა ყველა მშვიდობით დაგასწროთ ამ „მეორედ მოსვლას“ და მე კი ჩემთვის აღარაფერი აღარ მახარებს: ალბათ, მომავალი ზამთრის სუსხი სადმე წამომეწევა და, მეც რომ ვეღარ ავიტან იმის სუსხს, სიცივისაგან გავიბეჭერები და გავიფიჩხები კიდეც.

ამის შემდეგ ყველა გაიგებს, ალბათ, და მათ შორის გაოცებული მკითხველიც, თუ რისთვის ყოფილა ჩემი გვარი სწორედ ფიჩხაძე და არა სხვა რომელიმ...

ეეეჰ, ფიჩხაძის მაგივრად, ფიცხაძე მაინც ყოფილიყო იგი, რომ იმ სიფიცხესთან, რომელიც უთუოდ მახასიათებს მე, ფიცხლავ მაინც ამსრულებოდა ყოველი ჩემი კეთილი სურვილი, როგორიცაა, თუ გნებავთ, საზამთრო შეშის ქონება, რომ მისგან ანთებულ ცეცხლზე მიფიცხება მაინც შევეძლო მომავალ ცივ დღეებში!...

ჰაზირა.

— ერთი კვირის შვებულება მომეცით!
— სად მიდიხართ?
— „აზიურ სასადილო“-ში მივდივარ სასადილოთ.

სკოლაა თუ ბინა

— ახალი გამგე უნდა მოვიწვიოთ, რომ...

— რას ამბობ, კაცო, სკოლის მთელს შენობაში ერთი ოთახი დარჩენილა მოწაფეებისათვის და გინდათ ისიც გამგემ დაიკავოს?! ხომ ხედავთ მთელი შენობა ყოფილ გამგეებს უკავიათ!

ბუმის თემის ფოსტაში

გლეხი:—ამხანაგო, რა მიზეზია, რომ გაზეთებს ვერ ვღებულობ?

გამგე:—თავი დამანებე. ნამთვრალები ვარ და თავი მიბრუა.

გლეხი:—გაზეთი „კოლექტივიზაცია“ 15 დღეში ერთი ნომერი გამოდის?

გამგე, (ფიქროფს):—ხო, 15 დღეში ერთხელ გამოდის...

გლეხი:—როცა ვიწერდი, რატომ მითხარი, რომ კვირაში სამჯერ გამოდისო?

გამგე:—მაგ სწორია, მაგრამ შემდეგ შეამოკლეს, ვინაიდან ქაღალდის კრიზისი არის.

გლეხი:—გაზეთზე რომ აწერია, სამი ცალი გამოდას კვირაშიო?

გამგე:—ხოოო... შეიძლება.

გლეხი:—გაზეთის დამტარებელი ხომ გყავთ?

გამგე:—კი მყავს, მაგრამ ზარმაცობენ და სოფლებში არ დადიან.

გლეხი:—ესე იგი, არც თქვენ აკეთებთ არაფერს და არც თქვენი დამტარებლები.

გამგე:—ეს არაა შენი საქმე; წადი და მიჩივლე სადაც გინდა.

გლეხი:—დიახ, გიჩივლებ. აბა, თავზე მოგისვამ ხელს.

გამგე:—რა უნდა მიქნას შენმა ჩივილმა, როდესაც სამტრედიის ფოსტის გამგე ჩემი ცოლის ძმაა, შიგ თანამშრომლები, ჩემი ფოლის დები არიან. ვანის ფოსტის გამგედ ჩემი ძმა არის და ტობანიერის ფოსტის გამგეთ— ჩემი ცოლის ძმა. ასეთია, ძიაკ, შემადგენლობა. ეხლა წადი და სადაც გინდა იქ მიჩივლე.

ბუ—ნი.

„კონკურსი"

დიდი ხანია კოწია ტიკიბაოია არ შენახა და პირდაპირ გავსწიე მის ბინისაკენ.

მივადექი კარებს და დავაკაკუნე.

ხმა რავინ გამცა. ისევ დავაკაკუნე. შევიგვრიტე ჭუჭრუტანაში. კარები შიგნიდან იყო დაკეტილი. ეტყობოდა შიგ ვილაცა იყო. უფრო მაგრად დავაბრახუნე. ოთახიდან მომესმა ტახტის ჭრიალი და მიკნავებული ხმით ვილაც შემეკითხა:

— ვინ ხართ?

— ბიჭო, კოწია, შენა ხარ?

— ჰო, მე ვარ! — მომესმა ისევ ის სუსტი ხმა.

— ბიჭო, მე ვარ აბესალომ; გამიღე კარი.

ოთახიდან მოისმა ოხვრა - კვნესა. კოწია დიდის ვაივაგლახით წამოდგა ლოგინიდან, ძლივს - ძლივობით მოვიდა კარებთან და გააღო.

— ვაი, ვაი, ვაი! — საშინლად დაიკვნესა კოწიამ და წაბარბაცდა, ხელი რომ არ მიმეშველებია, წაიქცეოდა.

— ბიჭო, რა ღმერთი გაგიწყია! რა მოგივიდა? — რითა ხარ ავათ?

— კონკურსით.

— რაო! ხომ არ გაგიუდი! რის კონკურსი! რას ამბობ?

— მართალს გეუბნები, კონკურსით ვარ ავად და ეს უცნაური სენი, ვიცი თან გადამიტანს.

გული შეუწუხდა.. როგორც იქნა დავამშვიდე.

— იცი რამდენი ხანია ვარ კონკურსით ავად? — დაიწყო ისევ კოწიამ, — ექვსი თვეა. გადავარდი კონკურსში და თავი ვეღარ დავახწიე. ჯერ იყო და „საქართველოს ჩაი"-მ გამოაცხადა კონკურსი აგროპიესაზე. დავწერე შვიდი პიესა და წარვადგინე. იმ დღიდან შემეყარა ლოდინის ციებ-ცხელება, რამდენ გაზეთს ავიღებდი ხელში, გული საშინლად მიცემდა. ასეთმა მდგომარეობამ სამი თვე გასტანა და მეც გულის სისუსტე შემეყარა. სამი თვის შემდეგ, როგორც იქნა, გამოცხადდა ჟიურის დადგენილება. შვიდივე პიესა დამიწუნეს.

ცოტათი დავშოშმინდი.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ჩემდა სასიკვდილოთ, მუშკოოპის კულტგანყოფილებამ გამოაცხადა კონკურსი პიესაზე. დავწერე ცხრა პიესა და წარვადგინე, ორი თვე იქმაც ველოდე შედეგს და ოთოქმის ლოგინად ჩავარდი, მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხდი, როგორც იქნა, ვეღირსე შედეგს: ყველა პიესა დამიწუნეს.

ხვა ჩემს ადგილზე თავს დაანებებდა კონკურსს, მაგრამ ხომ იცი ჩემი ჯიუტი ხასიათი, ვეღარ მოვითმინე და კიდევ გადავვარდი.

სახკინმრეწვმა სულ ბოლო მომიღო, სიკვდილის პირად მიმიყვანა. ხუთი თვის წინად გამოცხადდა კონკურსი ლიბრეტოებზე. — აქ კოწიამ ისე ამოიკვნესა, რომ კინაღამ გული თან ამოაყოლა, — დაიქცეს ის დღე, დაიქცეს ის საათი. იმ დღეს დაბნელდა ჩემთვის მზე, იმ დღეს მომესპო სიცოცხლე. გადავდევი თავი, დავიწურე ოფლში და დავწერე თოთხმეტი ლიბრეტო და წარვადგინე. კონკურსის შედეგი ერთი თვის შემდეგ უნდა გამოეცხადებიათ, მაგრამ გავიდა სამი თვე და ჯერაც არაფერი სჩანს. ამ სამი თვის განმავლობაში ყოველ დილით ეკითხულობ გაზეთს, შეხედე, — მითხრა კოწიამ და ლოგინის წინ დაყრილ მთელ გროვა გაზეთებზე მიმითითა, — თითო გაზეთის გადათვალიერება თითო წლის სიცოცხლეს მაკლებს. მოვკვდი, დავდნი, დავგლეჯდი. ერთი თვეა, რაც ლოგინიდან არ ამდგარვარ, დიე დღეზე ველი სიკვდილს. არ მინდოდა ისე მოვკვდარიყავი, რომ არ გამეგო რა ბედი ეწია ჩემს ლიბრეტოებს... მოვკვდი, მეტი აღარ შემიძლია! — და კოწიამ საშინლად დაიღრიალა და ხელები წინ გაიშვირა. — მოვკვდი...

უცბად წამოვარდა, მუდარებით ჩემსკენ ხელები გამოიშვირა და სასიკვდილო ხმით შემომბღავლა.

— აბესალომ, ძმაო, არ მიღალატო, შემისრულე უკანასკნელი ანდერძი... აიღე ჩემი სისხლი, ააფეთქე...

სიტყვა ვეღარ დაათავა, მოწყვეტილად დაეცა ლოგინზე და...

თქვენი ჭირი წაიღო.

მახათი.

უგედურება



—სოფელში გაგგზავნეს სამუშაოთ! მოინაწილე ვარ მწუხარების!
—დავი[illegible] კაცი... ცოდ[illegible] გამექცევ.



— აბა, ბიჭებო, საჩქაროთ გავწიოთ ალაზნის პირას და ჩვენი არტელის ბინაზე მოვაგვაროთ „დასილოსების“ საკითხი! — რიხიანად დასძახა გურჯაანის „წითელ ვარსკვლავის“ გამგეობის თავმჯდომარე ვ. მანიკაშვილმა.

— თანახმა ვარ! — დაიწახა რაიკოლმეურნეობის კავშირის ინსტრუქტორმა, ვანო გოგილაშვილმა, რომელსაც ალაზნის ხსენებაზე გაახსენდა „ალაზნის თევზი“ და პირზე ნერწყვი მოადგა.

დანარჩენმაც შეხმატკბილებული თანხმობა განუცხადეს და...

გასწიეს. „თავშესაქცევად“ წაიღეს არაყი და ღვინო.

თავმჯდომარე მანიკაშვილი ურჩევს ამხანაგებს „ძალღონის და მადის მოსაყვანად კუჭის წინასწარ ღვინით დასილოსებას.

— კაი დაგემართოს, მაგრამ „ჩასაყოლებელი“ რომ არაფერი გვაქვს? — ეკითხება აგრონომი კოლა დალაქიშვილი.

— არა გვაქვს, მაგრამ კოლექტივი „ატვეჩაეტ“! — და მანიკაშვილმა რევოლვერით გულმკერდი გაუგმირა ეზოში მოსიარულე კოლექტივის დედალს.

— ჩქარა შეწვით! — ბრძანება გასცეს ვანო გოგილაშვილმა და რაიკოლექტივის თავმჯდომარე დათა პაპიაშვილმა.

შეექცევიან.

კოლექტივის დაბმული ძაღლი კი შიშისაგან წკმუის. ქათამი შემოაკლდათ...

— ვასოჯან, შენ ჩვენი თავმჯდომარე ხარ და ტოლუმბაშიც. დარწმუნებული ვარ, შენ კარგი მონადირეც იქნები. ერთი სცადე და დაუმიზნე ფეხებში ეგერ რომ შავი დედალია და ვნახოთ მოარტყამ თუ არა! — უთხრა ვანოს კოლექტივის „ოქტომბრის რევოლიუციის“ გამგეობის თავმჯდომარე ალექსი პაპუნაშვილმა.

მანიკაშვილის ლევორვერმა იგრიალა და უსულოდ დაეცა დედალი.

ძაღლი კვლავ წკმუის.

მანიკაშვილი ჯავრობს, რომ ფეხში ვერ მოარტყა. კოლექტივის გამგეობის წევრი სანდრო გოგილაშვილი ანუგეშებს და თან ურჩევს — ერთი კიდევ სცადოს თავისი სივაჟკაცე.

მანიკაშვილმა კიდევ სცადა ბედი, მაგრამ მიზანში კიდევ უღალატა და დედალს სასიკვდილო ჭრილობა მხოლოდ კურტუმში მიაყენა.

ძაღლი შიშისაგან იკლაკნება.

კამპანიაში მყუდროება ჩამოვარდა.

ღვინო ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ „ჩასაყოლებელი“ — ნაკლები.

ვანო გოგილაშვილი რისი ინსტრუქტორია და დათა პაპიაშვილი რის თავმჯდომარეა, თუ მანიკაშვილს არ გაათამამებენ:

— სამი ტყვია ზედიზედ დააბალე იმ სამ დედალს და ერთერთი მაინც დაიჭრება ფეხში.

ეზოში მორწყულ სისხლს კვლავ ემატება სამი დედლის სისხლი.

ყველა მხიარულია, ბოლო სტირის ხეზე მიბმული ძაღლი, რომლის ტირილმა გული გაუწყალა მანიკაშვილს და მისმა ცხელმა ტყვიამ სამუდამოდ დაადუმა მოუსვენარი ძაღლი.

ჭარ-ცეცხლი.

ტელეფონთან

— გამარჯობა შენი, გრიგოლ დეკანოიძე!

— გაგიმარჯოს! უკაცრავად, ვერ გიცანით ამხანაგო!

— რავი ვერ მიცანი, შე კაი კაცო, ან ხომ ჭიდა საზანოს საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ხარ?

— დიახ, თქვენ?

— მე თბილისის რაიონის სოფ. დიღომის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე გაბრიელ მძევაშვილი გახლავარ.

— ჰოო! ეხლა კი მომაგონდა. თქვენში მჭონი გაზეთშიაც იწერა ამას წინათ.

— დიახ, ჩიმზე და ამბ. ლუხუტაშვილზე.

— მერე რიკორ წავიდა საქმე, ხომ არ აგიკრეს ბარგი-ბარხანა?

— არა. რას გაბედავენ! მზე და მთვარე როცა შენსკენაა, კაცი ცაღალ დაგაყლეტს.

— მეც ძალიან მიკარკიტეს მაგი წიწილლიანი. გლეზკორები, წამდაუწუმ მიდლაბნიან ვაზეთებში, მა[illegible] უკითეს ადგილებზე ტიწყობი.

— რაო კაკო, რას გაბრალებენ?

— რას და—აიმა კომის თ. მჯდომარედ ყოფნის დროს ტყლაპის უბნის სკოლის და რადიოს შესაკეთებელი 556 მანეთი შეეპარეთ.

— მერე ვერ გამართლდი?

— ვერა, მომხსნეს აღმასკომიდან და გადავედი სასოფლო-საწარმოო ამხანაგობის თავმჯდომარეთ.

— ეხლა იქა ხარ?

— მაშ ეხლა უმუშევრადა ხარ?

— უმუშევრათ რა შვილი გავჩერდები! ქმაბიეები კარგათ მყავდეს და მეტი რა მიჭირს? ეხლა არტელის თავმჯდომარეთ მოვეწყვე და იქაც მაქვს ბარე 375 მანეთამდე შეეპარული [illegible] არ გამოგეს...

— გაგიოგონ მერე რაა! კიდევ უფრო უკეთესს საქმეს იშოვი... ვნახოთ ერთი რას დაგაკლებენ ეგ ლაწირაკი ბლეზკორები!

ბზიკი.

ფოთის „რადიო“



ᲛᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲙᲝᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲕᲐ 30 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

უეგარი მკურნალობა

(რკ.-გზის საავადმყოფო)

(მესამე პალატა. უამრავი ავადმყოფები. რადგან კრაოტებს შუა გასავლელი ადგილი არ არის, ავადმყოფები კრაოტებზე ხტებიან და ისე გამოდიან დერეფანში).

უფრ. ექიმი (ღიმილით ავადმყოფ წერეთელს): — „კაკ დელა“? როგორა ხართ?

წერეთელი (ღიმილით): გმადლობთ მოკითხვისათვის. ძალიან კარგათ ვარ, მხოლოდ არა მაქვს წამალი, არა მაქვს საჭმელი, არა მაქვს ძილი და მოსვენება. სხვაფრივ კარგადა ვარ. იმედია ჩქარა მოვრჩები.

უფრ. ექიმი. (ღიმილით): — უეჭველად, უეჭველად! (გადის შემდეგ ავადმყოფ უზნაძესთან), „ნუ კაკ დელა“?

უზნაძე: (მწუხარებით): — ერთი თვეა აქა ვარ, ცოტა წამლებიც მივიღე. კანჭს უკვე კარგად ვხმარობ. მხოლოდ ეხლა ნერვები ამეშალა. დილით ექვს საათზე, როცა ჯერ კიდევ ბნელა, ჭორებივით თავს გვესხმიან მომვლელი ქალები და ზეზე გვყრიან. საავადმყოფოს დირექტორს განუზრახავს თურმე ფიზკულტურა შეასწავლოს ავადმყოფებს. ეს, რომ არ იყოს, დიდი ხანია კარგად გავხდებოდი.

— ვაცო, საავადმყოფოდან სად მოგყავს ეს ავადმყოფი?
— სახლში... კარგად იყო და აქ ავ გახდა!

ტარტარიოზის შენიშვნა: — ნახატი ჩვენი მხატვრის მიერ ეძღვნება ტფ. რკ. გზისა და პლეხანოვის საავადმყოფოებს.

უფრ. ექიმი (ღიმილით): — მოითმინეთ, ყველაფერი მოეწყობა, ყველაფერი რიგზე იქნება. (გადადის შემდეგ ავადმყოფ კალანდაძესთან „ნუ კაკ დელა“? უკეთა ხართ?

კალანდაძე (გაჯავრებული): — ძე გაბუტული ვარ.

უფრ. ექიმი: — რატომ?

კალანდაძე: — მშია.

უფრ. ექიმი: — შენ გულის ტკივილი გაქვს და ჭამა გაწყენს.

კალანდაძე: — როცა მშია, გული უფრო მტკივა.

უფრ. ექიმი: (მოწყალების დას): — რას ღებულობს?

მოწყალების და: — „ვტაროი სლაბი“.

უფრ. ექიმი (ეშმაკური ღიმილით ავადმყოფ ზენაშვილს): — ნუ სტარინა, კაკ დელა“? ლოყებზე გეტყობა კარგადა ხარ. საჭმელი ხომ ბლომად გაქვს.

ზენაშვილი: — კი, როგორ არა, ყველაფერი მაქვს, მხოლოდ ერთს გთხოვ ექიმო, სარეცხი საპონი გამომიწერე ორი გირვანქა, სხვა არა მინდა რა.

უფრ. ექიმი (გაკვირვებით): — საპონი რად გინდა?, ხომ არ გაგიჟდი!?

ზენაშვილი: — კუჭის კარგად გარეცხა მინდა. ერთი თვე აქა ვარ და სულ რაღაც „სლავია“ იმას ვჭამ. დილით ვსვამ ექვს სტაქან უშაქრო ჩაის, შემდეგ სამ სტაქან წყალწყალა რძეს, შემდეგ ერთი მათლაფა ქვაბის ნარეცხს, შემდეგ ერთ სტაქან რძეს და ბოლოს კიდევ ექვს სტაქან ჩაის, ბარემ საპონსაც დავაყოლებ, რომ კარგად გავირეცხო კუჭ-ნაწლავები.

უფრ. ექიმი (სიცილით): ხუმრობის გუნებაზე ხარ; გეტყობა კარგად ხარ. (გადადის შემდეგ ავადმყოფ შანიძესთან. გასინჯავს) „ნუ კაკ დელა“?

შანიძე (წამოჯდება და ოფლს იწურავს): — მშია, ვკვდები შიმშილით, არაფერს არ მაძლევენ.

უფრ. ექიმი (ახედ-დახედავს მაგიდას და დაინახავს მაგიდის ქვეშ თაროზე დაწყობილ პურებს და დიდ ხაჭაპურს. სიცილით): — ამდენი პური და ეს ერთი კეცი ხაჭაპური არ გყოფნის?

შანიძე: — შეიძლება ჭამა, ექიმო?

ექიმი: — შეიძლება! (შანიძე ებღღვნება ხაჭაპურს და ხარბად დაუწყებს ჭამას. ექიმი გადის).

ჭინჭრაქა.

ფიზკულტურა რკ.-გზის საავადმყოფოში

ᲤᲝᲗᲘᲡ „ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ"

მიქაბერიძე გახლავთ **კოწია,**
ფოთის წყლოსანთა ექიმი ძველი,
და რომ უყვარდეს ქალი კოპწია,
აბა რა არის გასაკვირველი?!
მეფის დროს ჰყავდა ცხენი ლამაზი,
და პოლკოვნიკის მუნდირებს ხევდა,
ღღეს კი სავსეა მუშებზე ბრაზით,
(წარმოვალობის აწუხებს სევდა).

—:—

ბრწყინავს ანათებს **თომა ჟვანია**
ფოთში დაკარგულ მარგალიტივით,
და მგონი უკვე დიდი ხანია,
რაც კაბინეტში გალობს ჩიტივით.
და თუ ეახლა, მუშა მშრომელი,—
მაშინ ქალაღლებს დაუწყებს ცქერას,
(ხმასაც არ გასცემს დინჯად მჯდომელ-
ანდა ტელეფონს დაუწყებს ყღერას.

—:—

კლუბის გამგე ვარ და მემღერება,
და მე გახლავარ **ᲓᲣᲚᲘᲫᲔ ᲓᲐᲕᲘᲗ,**
ბევრი ნაცნობი ღღეს მემტერება,
რადგან შეიტყვეს ერთი ამბავი.
დავდივარ როგორც გლადიატორი,
(ახ, რამე ნიჭი რად მომერიდა!)
და ხალხს ვატყუებ, რომ ვარ აეტორი,
მრავალ დაბეჭდილ ცნობილ წერილთა.

ᲐᲜᲓᲠᲝᲣ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

(ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ)

რადგან მეღირსა გავხდი „ქირურგი",
მკურნალობისთვის ხელთ მაქვს სანქცია,—
მსურს სამტრედიას ვეწვიო მშობელს,
იქ ვქნა პირველი ოპერაცია.
აქვე ვათავსებ სნეულთა სიას,
მოსაჭრელი აქვს ვისაც კუზია;
(ჩემთვის ერთია შიგ ვინც მოყვება
„სპილო" იქნება ის თუ „ბუზია")
ვიწყებ, მისმინეთ: პირველი გახლავთ.
შინამრეწველთა კოოპერაცია
(სახელი ქვიან ალბად შეცდომით,
თორემ ასეთი მას არა სცხია).
სახელოსნოში ბესო ყავს გამგეთ,
ხნით ახალგაზრდა, (ძველი კაცია).
პარტწმენდამ იგი თუმც დააკოცა,
მაგრამ მთლად მაინც ვერ წააქცია
შიგ რომ შეხვიდე, გაგიკვირდებათ,
ტანზე სულყველას ხავერდი აცვია,
მოდად ნაკერი შარვალ-ტუჟურკა,
(გლახა და კარგი ყველა კაცია).
„ის" თუმც მუშების სახელზე იყო,
ზოგს მაინც უნდა რგებოდა წილში,
მაგრამ, პარტკომმა და სარეწკომმა
გაინაწილეს „იმათი" ძილში.

ᲤᲣᲜᲢᲘ.

ის იყო ჩვენი მატარებელი სადგურ შორაპნიდან გამოვიდა, რომ უცბად აფეთქების ხმა გაისმა და მთელი ჩვენი ვაგონი შადრევანისებურმა ღვინის ფერმა წვიმამ დაჰფარა.

შეიქნა აურზაური.

— ალბად ვილაცას მაჭარი წამოუღია გუდით და გუდა გასკდებოდა!— დაიძახა ვილაცამ ხალხის დასამშვიერებლად.

ამის გაგონებაზე მე ზევით ავიხედე და, ოი, რას ვხედავ: მაჭრით სავსე გუდა მუცელ გამოფატრულ დათვივით გდია და, თითქოს სისხლიდან იცლებაო, მაჭარი გადმოსდიოდა და წელ-წელა იჩუტებოდა.

— ვისია? უნდა დავაჯარიმო პატრონი! — აყვირდა კონდუქტორი.

— დაჯარიმება არ ეყოფა, დასაჭერია! — დაუმატა ვილაცამ.

— დასაჭერი კი არა, მოსაკლავია; ტანსაცმელები გაგვიფუჭა! — აკაპასდენ ქალები.

— სულელი ყოფილა მაგის პატრონი. გაგონილა მაჭრის წამოღება და ისიც თავდაცულ ჭურჭელით!?— სთქვა ჩემს გვერდში მჯდომმა მოქალაქემ, რომელსაც ხელში ფანერის ჩემოდანი ეჭირა. ჩემოდანს ვეებერთელა ბოქლომი ედვა, თითქოს, ასე გეგონებოდათ — ქვეყნის სიმდიდრე შიგ არისო.

— მართალი ხარ! მართლაც სულელი ყოფილა. დაიჭირეთ და დაჯარიმეთ! — ავყვირდი მეც და გუდის პატრონს ძებნა დავუწყე.

პატრონი არავინ აღმოჩნდა. (ან-და როგორ აღმოჩნდებოდა!).

ხალხი დაწყნარდა.

მატარებელი გვირაბში შევიდა.

ზარმა დარეკა და მატარებელი გადმოეშვა ლიხისაკენ დაღმართში.

სისწრაფემ იმატა.

ზოგიერთს კიდეც შეეშინდა.

უცბად ისევ გაისმა აფეთქების ხმა და ჩვენს კუპეში ყველას სახეში მიაყარა რაღაცამ ბოთლის და ფანერის ნამტვრევები.

— აგვაფეთქეს!

— გვირაბი ჩამოინგრა.

— მატარებელი იღუპება.

— ავიზაკები დაგვეცენ.

— ქვეყანა იღუპება! — ისმოდა ქალების კივილ-წივილი.

— ნუ გეშინიათ; ისევ მაჭარი იქნება! — მოისმა ისევ ის ხმა, რომელმაც ხალხი დაამშვიდა გუდის აფეთქების დროს.

მატარებელი გვირაბიდან გამოსრიალდა.

ყველა გაეხარდა, რომ ქვეყანა დაღუპული არ აღმოჩნდა.

— ეხლა ხომ ვეღარ დაგვემალება მაინც! ვილაცა ჩვენთან მჯდომი არის! — აკაპასდენ ქალები.

ერთმანეთს შეხედეს.

მონახეს დამნაშავე.

ჩვენს შორის აღარ იყო ჩემოდანიანი მოქალაქე.

— ის არის, ის, აი ჩემოდანის ნამტვრევიც; დაიჭირეთ, არ გაუშვათ!

— აუცილებლად ის არის. ალბად ჩემოდანში ჰქონდა მაჭარი. სად გაიქცეოდა, აქ იქნება სადმე! — ავყვირდი და გამოვარდი მატარებლის ბაქანზე.

დაიჭირეს. ხელში ჩემოდანის ის ნამტვრევი შერჩენოდა, რომელზედაც ბოქლომი იყო დაკიდებული.

ხაშურში რკ. გზ. რაზმს წარუდგინეს.

— არ ვიცოდი, თუ ასე იცოდა მაჭარმა. წამოსვლისას სამი ბოთლი დავლიე, მაგრამ არ ავფეთქებულვარ. ეს ოხერი შემოდანში რამ ააფეთქა, მხოლოდ ორი ბოთლი იყო. თუ კაცი ხართ, გამიშვით. მე ჩემი ზარალიც მეყოფა — ჩემოდანი და ბოთლები მეზარალა.

— კი, მარა აკი სულელს უწოდებდი იმ გუდის პატრონს, რომელიც გასკდა! — ნიშნის მოგებით ვუთხარი მე და თვალებში ისე შევხედე, რომ წახდა კაცი და შემეცოდა.

— მე ლევარსი როხროხაძე ვარ. გაუშვით ეს გაჭირვებული, საწყალი კაცია! — ვუთხარი რაზმელებს, მათაც პატივი დამდვეს და გაანთავისუფლეს ის მოქალაქე.

როცა გამოვედით შენობიდან, მაშინ ვუთხარი:

— გუდა რომ გასკდა, ის ჩემი იყო.

— კი, მარა. აკი შენ თვითონ ჰყვიროდი და პატრონის დაჭერას მოითხოვდი?

— აბა რა უნდა მექნა? ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ასე უნდა მოიქცე. შენც ასე უნდა გექნა და ვინ რას გაიგებდა.

— კი, მარა ბოქლომი ხომ დამეკარგებოდა? — და ამ ლაპარაკით ჩვენ მეორე ვაგონში შევედით. **ზმუკი.**

ადვილი ამოცანა

ჯუგაანი, კახეთი



მასწავლ.: — აბა, გამოიცანით რა არის: „ერთი პატარა მანანა, ხან გაიცინებს, ხან არა“!

მოწაფეები: (ერთად): — ჩვენი ელსადგურია, მასწავლებელო!

„მკვლევარნი“

ინჟენერ წვერაძეს, რომელიც სცხოვრობს ა.ა.კი წერეთლის სახელობის ქუჩაზე, ფოსტალიონმა წერილი არ ჩაბარა და კონვერტს წააწერა: „აკაკი წერეთლის საზღვარ გარედ გამგზავრების გამო, წერილი არ ჩაბარდა“.

ანეგზოტიდან.

— ამხანაგო, „პოკალუსტა“, მითხარ, სად არის შოთას პროსპექტი?— შეეკითხა ფოსტალიონი უბადრუკიძე გაზეთების დამტარებელს ცალთვალა ხეჩოს.

— ერთი ამას უყურეთ და? შე კაი კაცო, შენი დღე და წუთი სოფელი მაგ წერილებს დაათრევ და ქუჩების სახელი აღარ იცი!? მე შენთვის არ მცალია: „მუშა“, „მუშა“, წაიკითხეთ „ტარტაროზი“ ხვალინდელი ნომერი, ჯანზე მოხვალ! — განაგრძო ხეჩომ და ზურგი შეაქცია ფოსტალიონ უბადრუკიძეს.

— იქნებ შენ მაინც მეტყვი, ამხანაგო, სად არის ამ ქუჩაზე შოთას პროსპექტი, ან რუსთაველის „ულიცა“! — შეეკითხა დაღონებული უბადრუკიძე იქვე მდგომ მილიციელს.

— მილიციელი შედარებით ნასწავლი და თავაზიანი კაცი გამოდგა.

—აი ეს არის, ამხანაგო, რუსთაველის გამზირი, რომელსაც წინად გოლოვინის პროსპეკტს უძახოდენ.

— გული გაებზარო! ამ ქუჩების სახელების ამრევ-დამვრევს. რა იქნებოდა, რომ ჩემ სიკვდილამდე მაინც არ გამოეცვალათ ამ ოხერ ქუჩებისათვის სახელი! — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ ფოსტალიონმა და მიადგა ერთ სახლს. რეკა, რეკა, ურახუნა, უბრაგუნა, მარა თქვენც არ მომიკვდეთ, არავინ არ გასცა ხმა.

— ჯანდაბას, რას დავეძებ, კარებამდე ხომ მივიტანე, მისამართი ხომ მივაგენი, დავაგდებ და წავალ, თუ ნახავს ხომ კარგი, თუ არა და, ამ ჩემ ფეხებს

გააკვეხა როგორც იქნა კარებში წერილი, რომელიც იმის თვალის წინ დაეცა ქუჩაზე, მაგრამ უბადრუკიძემ ზედმეტად ჩასთვალა წერილის აღება.

მიადგა აკაკის სახელობის ქუჩას.

— სად ცხოვრობს ამ განოვის ქუჩაზე აკაკი წერეთელი? — იკითხა მან ერთ ეზოში.

— აქ წერეთელი არავინ არ ცხოვრობს! — უპასუხეს მას.

დაღონდა ფოსტის მუშაკი. შევიდა მეორე ეზოში.

— ნუ თუ არც აქ ცხოვრობს წერეთელი? იკითხა მან.

— აქ ცხოვრობდა, ერთი წერეთელი, მაგრამ ის წელიწადზე მეტია, რაც საზღვარგარეთ წავიდა! — უპასუხეს მას.

ბუზი-ულაპია



— ეეეო! როგორ ზორბად ამთქნარებს ეს მსახური! ეხლა კი მივხდი, თუ რატომ არასოდეს არ არის ბუზები ამ სასადილოში.

— ტფილისში არ ყოფილა, ჩემი რა ბრალია! — ჩაილაპარაკა დამტარებელმა თვიასთვის და წააწერა მსხვილად კონვერტის მეორე გვერდზე **„აკაკი წერეთლის საზღვარ-გარეთ გამგზავრების გამო, წერილი არ ჩაბარდა“.**

ცოტა ხნის მოგზაურობის შემდეგ წერილი ისევ დაბრუნდა მთავარ ფოსტაში, — სადაც ეხლაც გამოკიდებულია ჩაუბარებელ წერილთა შორის აღნიშნულ წარწერით.

— არა ნაკლები მკვლევარი აღმოჩნდა მეორე ფოსტალიონი სოფრომ ჯოჯოშვილი. მას აუარებელი წერილები ჰქონდა დასარიგებელი ჭავჭავაძის ქუჩაზე, მაგრამ როცა მას ერთ ეზოში გააგებიეს, რომ ილია ჭავჭავაძე გარდაიცვალა, მან აიღო და ყველა წერილებზე წააწერა: **„გარდაცვალების გამო წერილები ვერც ერთი ვერ ჩაბარდა“.**

ვურჩევ ჩვენი ლიტერატურის მკვლევართ, ავტორების ბიოგრაფიისა და ვინაობის გამოკვლევის დროს მიმართონ ხსენებულ ფოსტალიონებს.

ძველი.

რაიმ

ზესტაფონიდან

რაკი წერას აღარ ვიშლი,
ყურს დამიგდებს ბევრი მგონ
ამ ბოლო დროს ძირეულად
შევისწავლე ზესტაფონი,

აქ რკინის გზას აკეთებენ,
(მარგანეცს რომ ქვია ფერო).
ორი წუთით ყურადღება,
მსურს თქვენი აქ შევაჩერო.

აქ შეხვდებით ძველ პოლკოვნიკს,
მამასახლისს, მღვდელს და ბერსა,
სათავეში ეს ხალხია,
განაგებენ ყველაფერსა.

ამ ხალხს ეხლა უნდა მოსცხოთ,
უნდა მოვსცხოთ ამ თავიდან, —
თორემ ბოლოს კედრებსაც მგონი
მოიწვევენ საოლავიდან.

თვით ქალაქზე, თუნდაც ჩუმად
გავისროლოთ სიტყვა ორი...
„ვინ დასვალოს ზღვაში ქვიშა“
ქუჩაში კი—ჯოგად ღორი.

ძნელ-ოღლი.

შეურაცყოფილი



დედა: — მომჰერი, შვილო თავი? არ გრცხვენია, რომ ეკლესიაში წამიყვანე?!

ველისციხე

სალამი, ძმაო ტარტაროზ
დაგვიდგა უკვე ზამთარი;
ამბების მოსაწერათა
ჩემი კალამიც მზათ არი.
ველისციხეში აქებენ
თემსაბჭოს მდივანს „სმაშია;
ამბობენ: „მუდამ მთვრალია“,
გაგვიგე საქმე რაშია.
ივლიანეა სახელი,
და გოგსაძეა გვარადა;
კაცი არავინ მინახავს
დამთკრალი მისდაგვარადა.
ახლა ტარტაროზ, რას გვეტყვი,
არა გვაქვს ერთი „ბანია“.
ჭუჭყში ლპებიან ყველანი:
საშა, მიშა და ვანია.
რაც მჭონდა შემოწერილი,
მივეცი ნაღდად ვალია,
აბანოს ელოდებიან
კაცი არის თუ ქალია.
მაგრამ ჯერ არსად არა სჩანს
თუმც ფული მოკრეფილია;
უკმაყოფილო არიან:
მიხო, გიორგი, ილია.
იყავი კარგათ, ტარტაროზ,
ამ წერილს მე გწერ როგორლაც.
შემდეგ კვლავ მოგწერ უკეთესს,
ძმაო, მისმინე ოღონდაც.

„ლენტო“.

პატარა მოთხრობები

ზამბახიძე ზაქარია, შენთვის ციხე შაქარია

ალიონის ჩამქრალ ვარსკვლავებით ბეუტავდენ ელნათურები, რომლებიც მკრთალად აშუქებდენ ღრმა ძილში ყოფ ქ. ლანჩხუთს.

ექიმი ზაქრო ზამბახიძე კოშმარულ სიზმარში იყო. უცბად წამოვარდა ზეზე და საბან-მოხურული დაიკარგა ღამის წყვდიადში.

ბებია ქალის ვახტანგოვის ბინაზე ვიღაცამ კარები ჩალეწა და შიგ შევარდა. თავზარდაცემული ქალი ზეზე წამოვარდა.

— ზაქრო, არა გრცხვენია; ეს რა მხეცობაა!—შეჰკივლა ქალმა და პატივცემული ექიმი გარეთ გამოაგდო.

ასეთივე ამბავი განმეორდა ცოტა ხნის შემდეგ ბებია ქალის კილაძის ბინაზე.

— ააშენოს ღმერთმა ეს ჩვენი ექიმი ზაქრო, — ამბობდენ ლანჩხუთის დურგლები, — ისეთი ღამე არ გავა, რომ ქალებს არ მიუხდეს და კარები არ ჩაულეწოს!

ექიმს „სიყვარულის ექსტაზი“ თავის კაბინეტშიაც მოსდიოდა ხშირად. ზაქროს არ მოსწონდა ლოზუნგი: „ხელები შორს“... ამ ლოზუნგს ის „ჰირიქით“ ანხორციელებდა (აქა ამბავი სონიასი და მაროსი, და ამ უკანასკნელთა მიერ პირველის სილის გაწნის შესახებ).

ეხლა ზაქრო მოთავსებულია სპეციალურ საავადმყოფოში (გამსახლში) და ხშირად ბოდავს, (სიცხე ყოველთვის აქვს):

რამდენმა ქალმა გამლახა,
რეცეპტი გადამახია!..
„წითელი ჯვარი“ გამიწყრა...
აქ ჯდომა ჩემზე ახია.

გვითხარი, სიმონ კაშია,— საქმენი შენი რაშია

წმენდის წინ სიმონ კაშიამ ღმერთი მაღალი ახსენა. ის კომისიას წარუდგა, მუცელში ეგდო მას ენა. გამოკითხვები დაუწყეს, ცოდვები სხვამ გაახსენა. წმენდის შედეგად წილად ხვდა მას ბათომიდან გაფრენა.

და წამოსვლისას სიმონმა მაგრად შეუკურთხა ბათომს:

— მე არ მინდა აწ აქ მოცდა,
შევარცხვინე თქვენი ფოსტა.

ახტა, დახტა სიმონ და ქუთაისში ჩახტა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მალე მოეწყო საგაზეთო ბიუროში.

თაგვმა თხარა, თხარა,
კატა გამოთხარა, — სწორედ ასე დაემართა სიმონს: მუშგლეხინი „გამოთხარა“ და კაცი იძულებული გახდა ტფილისში ამოეყო თავი.

აღარ მინდა ქუთაისი,
ვისაც სურდეს იყოს მისი! — უთხრა ტფილისში სიმონმა ძმა-ბიჭებს, რომლებმაც ის შემნახველ სალაროში მოაწყვეს.

— ეს მართლაც კარგია, — ამბობს სიმონი,—შემნახველი სალარო, ალბად მეც კარგად შემინახავს! მიუხედავად ამისა, სიმონ ხშირად ამოიოხრებს ბათომის მოგონებაზე (სამი ათასად ჰყიდის ბათომში ბინას) და ჩუმად აღიღინდება:

ეჰ, წმენდაო რასა გევხარ?
სად წაიყვან სადაურსა;
პროტექციის შემწეობით
სად უშოვი სამსახურსა.

რინ-ტინ-ტინ

რუსული იუმორი



—ხომ არაფრის გაგზავნა დამვიწყებია საშეფო სოფლისათვის?!
— პო, ეხლა მომაგონდა! ფოცხის გაგზავნა კინაღამ დამავიწყდა.



— ეს სიდაური სამართალია, რომ ქვრივსა და გაჭირვებულს მეტი გადასახადი შემაწერე, ვიდრე კულაკ გეარსიმეს!

ალმ. თავ.-რე: შენ ხომ ჩემი ნათესავი არა ხარ!

— ეხლა კიდევ სამუშაოთ მიდიხარ?
— არა, სხდომაზე მივდივარ!

—ხარჯთაღრიცხვის მიხედვით თქვენ აქ ხუთსართულიანი სახლი უნდა აგეგოთ.
—სამაგიეროთ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში მოვთავსდით.



ცრუბრიგადელის საფლავი

— კულაკი: — როგორ გავშლიდი ფრთებს, რომ შებოკვილი არ ვიყო!

— დავიმალოთ! საშეფო სოფლიდან გამოგზავნილი კაცი მოვიდა!

გახლავარ იასონ კოსტავა

რამდენი მწერეს გაზეთში, რამდენი საჩივრები შეიტანეს მუშგლეხინში, პროკურატურაში და სასამართლოში; გამწმინდეს პარტიიდან და აპარატიდანაც, მაგრამ ყველას გადავრჩი და რა უნდა მიქნას მუშკოოპის გამგეობამ რაღაც 2300 მანეთის გაფლანგვისათვის?!

აბა უყურეთ მათ სეირს რა მოუწყო.

მოვიგონე და მოვისაზრე ამ ჩემი ძველი მიკიტანის გოგრით, რომ — თუ მუშკოოპის სასადილოს და მეცხრამეტე ნომერ მაღაზიას შეუსანსლე 2300 მანეთი, სამაგიეროთ, მეც ჩამოვთვალე თითებზე, რომ საათები მექნება ალბათ მეტი ნამუშევარი და კიდევაც ვლეწე „სუდში“ საჩივარი— 1.600 მანეთზე.

არ დავენდვე ჩემს გრძელ ენას და კიდევ ვეჭილი ავიყვანე, მაგრამ რაღაც გლახა სიზმრებს ვნახულობ და ვაი თუ სამუდამოდ ვკარი ფეხი მდუღარეში!

ზილტი.

„ვსტრეჩა პროვოდი“

„სახვაჭრობაში“ მოეწყო კომისია ვასოს და კოწიას მეთაურობით „ვსტრეჩა-პროვოდის“ გეგმა.

პირვე ოქტომბრისათვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

ჩატარებულია ოთხი ვახშამი მმართველის მოადგილის დანიშვნისა და წასვლის საპატივსაცემოთ.

თვითეულ თანამშრომლისაგან მთელი ასი პროცენტით დაკავებული ჯამაგირიდან ორმოც-ორმოცი მანეთი. (შეჭმული პურმარილის დავალიანებას ადგილი არ აქვს).

მიშა ბოკერიას უკანასკნელი „პროვოდი“ დამთავრდა „სკანდალით“.

ჩაის ჭიქითა და ვაზებით ღვინის ქაჩვამ ჩხუბის ხოშზე მოიყვანა ვანიჩქა და ნიკო, რომლებმაც სმინდის ტაროებით დაუშინეს „მშვიდობიან“ მოქეიფეთ.

ქეიფის და ომის შემდეგ გაადგურებულია მუშა- მოსამსახურეების ჯიბე ფულისაგან, დაზარალებულია რამოდენიმე კასტიუმი.

ხლისტი.

ძირულა

ტარტაროზჯან, აღმასკომის
მოვისურვე ნახვა;
აღარ მქონდა მოსვენება,
გულში დარდათ ჩამყვა.
ერთ დღეს დილის ათ საათზე
მივადექი კარებს.
აქ დარაჯი მეუბნება:
„ჯერ ვინ მიგიკარებს!
ჯერ თორმეტი ხომ არ არის
რად მოსულხარ ადრე?
აქ ასეთი წესი არის,
გული გაიმაგრე!“
ამ ყოფაში ვიყავ, კარი
გამოიღო ხელად.
შემოვიდა თავმჯდომარე
ზანტად, უდარდელად.
მივესალმე (იყო მთვრალი)
— ზრასტი!
--- გაგიმარჯოს:
მართალია, რომ დღეს სოფლად
ქეიფობას რა სჯობს,
მაგრამ... მაგრამ კი გახსოვდეს
მარტო ეგ არ კმარა,
შენი ცუდი მოქმედებით
გული გაიბზარა.
მითხარ მაინც შარა გზაზე
რათ არ ზრუნავ, რათა,
გუშინ ხრამში გადავარდა
მარიამ და დათა.

ძირულელი თალა.

შეკითხვა

ვსწავლობ ქ. ბათომის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში. ვარ შავსიელის შვილი, სასწავლებელში პროტექციით მიმიღეს, კომკავშირელ ქალებს არ ეუშვებ კრებაზე.

მამაჩემი დიდი დამსახურებული კაცია: აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1924 წლის მენშევიკების „აჯანყებაში“, რაც შემეძლო მეც ხელს ვუწყობდი, (დედაჩემი მთავარ როლს თამაშობდა) არ გაგვიშვია არც ერთი კომკავშირელი რომ არ მიგვებეგოს. გეკითხებით: მეკუთვნის თუ არა სტიპენდია.

ბათომის ავკარგი

ხე-ტყის ქარხანა ჩამორჩა გეგმას,
ვერ შეასრულა დანაპირები;
დავაჯილდოვეთ შავი დაფითა
ხე-ტყის ქარხნისა ყველა „გმირები“.

პურის გამყიდავს სავაჭროებში,
სადაც ყოველ-დღე გრძელია რიგი,—
ასე გგონია — გაჩენილია
გამყიდველების საძღომათ იგი.

ათი-თორმეტი გრამით ნაკლები,
რომ გერგოს პური, რა სათქმელია,
კაპეიკებიც არ მოგცეს ხურდა,
ესეც მეთოდი არის ძველია.

დათიკო არის (გვარად წულაია),
რომელიც თურმე არიგებს ტალონს.
ვერას გახდები თხოვნით, ვედრებით,
თუ სხვა განგებით იგი არ გწყალობს,

ზოგს სულ არ აძლევს, ზოგს ეხვეწება
წაიღოს თუნდა ტალონი ათი.
ასე ამბობენ — მწყალობელია
ჩვენი დათიკო მუდამ დროს მათი.

ზოგიერთ ხორცის სავაჭროებშიც
ნაცნობობას აქვს სულ გასავალი;
ზოგს სუკს უჭრიან ნორმაზე ზევით,
ზოგს კი არ უწევს გამხმარი ძვალიც.

ბრძო ბაზარი ბატონობას გრძნობს
ბიჭრის, მიფრინავს-სულ მაღლა ფასი;
მუშკოოპი უცქერს შორიდან ამას,
მოჭხანცულივით გააქვს ლასლასი.

ბაჭია.

ტფ. მე-4 საფოსტო განყოფილება



—ნეტავი როდის მორჩება ეს ოჯახურ ორი არშიყობას, რომ ყურადღება მოვაქციოს...

მიწერ-მოწერა

წერილი ს. დედალოურიდან

სალამი დავით!

რავა ხარ სიფათში, ბიჭო? მარა ოა **საკითხავია**, შენი სამსახურის მქონე **კაცს** რავა მოწყინდება!

რა ვუთხრა დედალოურის დამაარსებელს, რომ მე აქანე ხეირი ვერ ვნახე. რა ვიცი, ჩემზე შეიკრა ცამპირი, თორემ სხვებს სასაყვედურო რა აქვთ!?

სამსონა უგლავას ქე იცნობ შენ, სკოლის მშენებლობას რო ხელმძღვანელობს ჩვენში (ისემც ოუშენდეს ოჯახი, რავაც მან სოფელს სკოლა ოუშენოს). რაც გაყიდული ეკლესიის ფული შემოვიდა და სოფელში ჩამობოჭა კიდევ კაი ბლომად, ყველა თავისი საკუთარი სახლის აგებას მოახმარა.

— იმე, სკოლას საკუთარი სახლი არ სჯობიაო.

სკოლას აგერ 5 წელიწადია აშენებს და არ იქნა მისი გათავება.

კი აქვს იმ კაცს ჭკუა და იცის რავარც უნდა საქმეს მოუახლოკება.

არც ბიქტორე ტყეშელაშვილია წაგებას. ღარიბი გლეხებისათვის მიღებული სიმინდით ჯერ ხომ კულაკები და ნაცნობ - მეგობრები დაალაღა, მერე მოდგა და სახლში წაწიკა. მთლად. ღორებსა და ქათმებს ასუქებს მუქთად ნაშოვნი სიმინდით.

ყლაპვაზე არიან მარჯვე ბიჭები, თორემ სხვა არაფერზე. სოფელი უგზოობით იხრჩობა და, აბა, ერთხელ თუ იფიქრებს ამის შესახებ.

სამკითხველოს გამგე: **ლევანი.**

პასუხი ლევანს

სალამი ამხ. ლევან!

გული გაიმაგრე შე გლახა. სხვაზე რომ თვალები გრჩება, შენ რა რიოგესს აშენებ ვითომ! სამკითხველო კვირაში შვიდი დღე გამოკეტილი გაქვს და კიდევ ბედს ემდური?

სატრანსპორტო განყოფილების გამგე ვარ, ბიჭო, გამსახლში და თუ ჭკუამ ვირჩიოს, ქე გადმოი ჩემთან ქუთაისში. ადგილის შოვნა ჩემზე იყოს.

რომ იცოდე, რა ქეიფში ვარ! გამსახლის კარეტით მივდივარ საქეიფოდ ყოველ დღე. (თავადის ჯილაგი არა ვარ! ღვინო და ქეიფი თავადის საქმეა).

სვირიდან როგორც კულაკი და შავსიელი ქე გადმომასახლეს, მაგრამ უკეთეს ადგილს ვარ ეხლა (მაგათ ჭკუას რა უთხრა მე!).

თუ ჩამოხვალ, ძაან კაის იზამ. ქეც მომკვდარვარ თუ შენი საფერი ადგილი ვერ ვიშონო გამსახლში (პირველი ხომ არაა!) ნეტავ ჩამოხვიდოდე და ქეიფი მე ვიცი, რავარი გავმართო.

შენი **დავით ჩხეიძე.**

წერილების ხელში ჩამგდები: ბახჩო.

გოდორი

„ვახლუ-კუნუს“ (აქვე) საკვირველია, უბინაო კაცმა, როგორ და სად დასწერეთ ასეთი გრძელი წერილი!? თუ თქვენ არა გაქვთ ბინა, სამაგიეროთ ამ თქვენს წერილს მივეცით ჩვენ შესაფერისი ბინა. პედინსტიტუტის სტუდენტი ყოფილხართ და უნდა იცოდეთ, რომ ხელმოუწერელ წერილს ტარტაროზი არა თუ დაბეჭდავს, არც კი განიხილავს. მისამართი და მანდატის ნომერი თუ კი გახსოვთ, როგორ არ გახსოვთ თქვენი სახელი და გვარი. არც ასეთი გულმავიწყობა ვარგა.

თაველს (ქვიტირი ქუთ. რაიონი). თუ კი ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ „კაცი თითს ვერ იკრავდა თვალში“, თქვენ როგორ დაინახეთ:

კოლექტივის თავმჯდომარე
სხვებს აძლევდა გლეხის ფართალს.
თავის სახლში არიგებდა
დამერწმუნეთ, ვამბობ მართალს.

დაგერწმუნებოდით ყოველივე ეჭვის გარეშე, მაგრამ თვითონ თქვენ ეს ამბავი როგორ დაინახეთ, თუ კი:

ღამე იყო შავი, ბნელი
ვახშმად იჯდა ალბად მთვარე.
სოფლად არვინ ჭაჭანებდა,
ძილში იყო არე-მარე.

აშაურს. მადლობისათვის, მადლობელი ვარ. მაგრამ ასეთი ლექსის დაწერისათვის მადლობას ვერ გეტყვით.

ფერ-უმარილს (ხევი, გურია). გუნდა-ლახოსტაკიც მოუმატეთ ბარე თქვენს წერილს და, ეგეგ, მაშინ უფრო იერიანი დარჩებ თქვენივე გმირებისათვის.

მაკრინეშვილს (თვით **მიხვდები — ხად) „სიმორცხვის** გამო, ვერ გამებედნა ლექსის გამოგზავნა“-ო გვწერთ წერილში. თუ კი ასეთი მორცხვი და პატიოსანი ხართ, რატომ არ მორცხვობ ასეთი ლექსის დაწერას:

მიდიოდა ის ქუჩაში,
ქალი იყო, ო, რა ქალი.
სქელი იყო როგორც ზვინი,
მოყვანილი როგორც ღმერთი

თქვენ ალბარ არ გაგიგიათ ღმერთის უკანასკნელი ამბავი. ის (ღმერთი) ეკლესიების დახურვის და მღვდლების გაკრეკვის შემდეგ ძალზე გახდა; ასე, რომ არც ისე მსუქანია, როგორც თქვენ გგონიათ. (ანდა როგორ იქნება, როცა საკურთხსა და შესაწირავს აღარავინ უგზავნის!)

ჩვენ მაგიერ მაკრინეს (დედა **თქვენს) სთხოვეთ,** რომ ხშირად აგიწეროს ყურები ასეთი **ლექსებისათვის.**

გიზ-ხლოპს (ჭიათურა) თქვენ ლექსიდან მოყვანილ ერთ კუპლეტს:

ტფილისიდან გამოდევნეს,
აქ მოგზრძანდა ლანდია.
ყველას შიშის ჟრუანტელს გვრის
მისი ჩრდილი, ლანდია, — ლეევარსიმ თქვენი

ილიციის საყურადღებოდ ასეთი წარწერა გაუკეთა **საპასუხოთ.**

ჭიათურის მილიცია
მაგარია ხესავითა.
ლანდიას რომ დაინახავს,
მაშინ წავა თხლესავითა.

ბალდადელს. საჭიროა საკითხის უფრო გაოკეცვა.

რიკ-რაკუნს (ქვიშხეთი, ხაშურის რაიონი) „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ და მოკლედ თქმულს რაიონის ხელისუფლების მიერ რამდენადაც მოკლე ხანში მიექცევა ყურადღება, მით უკეთესია. ხოლო ყურმისაქცევი კი ეს არის:

ხამებას: ცხვირაშვილს, სიმონს და მიხასა,
ვით კაცის მსგავსებათ შეთითხნილ თიხასა,-
შეუკრავთ კავშირი, რომ ხჭამონ სოფელი.
არავინ დაინდონ თავისი მგმობელი.

იბრეკს: — გვთხოვეთ, შეგატყობინოთ თუ რა ჰონორარი გვაქვს ისეთ ლექსებისათვის, როგორიც **არის** თქვენი „ხოშგელდი“. ჩვენ ასეთი ლექსებისათვის ჰონორარი არა გვაქვს, ხოლო ჩვენს უფსკერო გოდორში როგორი ტარიფია, ამას ვერ გეტყვით, რადგან არ ვიცით.

ᲑᲣ 345
1930

ᲛᲣᲨᲙᲝᲞᲘᲡ გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ნ. ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘ.

ᲛᲣᲨᲙᲝᲞᲘ

ᲙᲝᲚᲝᲙᲕᲘᲠᲗᲮᲔᲑᲘ: — გავიქცეთ... თავს ვუშველოთ!

რედაქ. სარედ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა სტამბა "კოლექტივი" მთავლ. № 1319